სატენდერო განაცხადი

1. სამშენებლო ობიექტის ადგილმდებარეობა: მცხეთის მუნიციპალიტეტი. სოფ. მუხრანში (შატო მუხრანის ტერიოტრია).
2. სამუშაოები უნდა შესრულდეს თანდართული დანართი #1-ის მიხედვით.
3. სამუშაოთა განფასება, ხელმოწერილი ვერსიის გარდა, წარმოდგენილი უნდა იყოს ექსელის ფორმატშიც (თანდართული ქვის მოპირკეთების უწყისის მიხედვით).
4. შემსრულებელმა უნდა წარმოადგინოს სამუშაოების განხორციელების ზოგადი მეთოდოლოგია (საუკეთესო პრაქტიკიდან გამომდინარე). ეს შესაძლოა გულისხმობდეს პროექტით განსაზღვრული მოპირკეთების ტიპის ცვლილებასაც, მაგრამ არ უნდა იცვლებოდეს ექსტერიერის/გარე ფასადის არქიტექტურული ზომები.
5. სამუშაოებისათვის საჭირო ხელსაწყო-დანადგარები (ქვის საჭრელი დაზგა და ა.შ.) უნდა უზრუნველყოს შემსრულებელმა.
6. საფასადე ხარაჩოები მიწოდებული იქნება დამკვეთის მიერ, ხოლო აწყობა დაშლა არის შემსრულებლის მოვალეობა.
7. ფასადის ქვა სტანდარტული ზომებით, მოწოდებული იქნება დამკვეთის მიერ, შემდგომი დეტალური დაჭრის და კუთხეების დამუშაოვების სამუშაოები გათვალისწინებული უნდა იყოს შემსრულებლის ერთეულის ღირებულებაში.
8. შემსრულებელმა უნდა წარმოადგინოს ჩამონათვალი, თუ <u>რა არ შედის ერთეულის ღირებულებაში</u> (ანუ რაც დამკვეთის მოსაწოდებელია) - ეს ნიშნავს, რომ სხვა დანარჩენი, რაც სამუშაოს ხარისხიანად და უსაფრთხოდ განხორციელებას სჭირდება შედის შემსრულებლის ერთეულის ფასში.
9. სამუშაოები უნდა შესრულდეს საქართველოში არსებული შრომის უსაფრთხოების რეგულაციების სრული დაცვით.
10. შემსრულებელმა უნდა წარმოადგინოს სამუშაოების შესრულების ვადები (არ უნდა აღემატებოდეს 45 კალენდარულ დღეს).
11. შემსრულებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სამუშაოები უნდა დაწყოს, არაუგვიანეს 2022 წლის 8 აგვისტოს.
12. შემსრულებელმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ სხვა პროექტებზე/ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ფოტომასალა.

საკონტაქტო ნომერი: პროექტის მენეჯერი

გიორგი ნიკოლიშვილი

577350798